თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7877297

ნომერი: AR11137443

თარიღი : 07.04.2026

გაცემის თარიღი : 08.04.2026

გაცნობის თარიღი : 08.04.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ტაბახმელა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჩოგოვაძე პ/ნ 01024039419
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 38 ბ. 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 სექტემბრის №7621311 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 7 აპრილის №AR11137443 განცხადებით მომართა გიორგი ჩოგოვაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025

წლის 10 სექტემბრის №7621311 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახური, 2025 წლის 10 სექტემბრის №7621311 გადაწყვეტილებით, დაეთანხმა ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე №01.81.02.258.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის საზღვრებში I კლასის სამშენებლო სამუშაოების (საყრდენი კედელი, ღობე და დეკორატიული ელემენტები) განხორციელების შესაძლებლობას.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 10 სექტემბრის №7621311 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არასწორად არის დაფიქსირებული განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2025 წლის 20 აგვისტოს №AR11105207 განცხადებით მოთხოვნილ იქნა ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე №01.81.02.258.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის საზღვრებში I კლასის სამშენებლო სამუშაოების (საყრდენი კედელის, ღობისა და დეკორატიული ელემენტების) განხორციელების შესაძლებლობაზე შესაბამისი თანხმობის მიღება. სამსახურის 2025 წლის 10 სექტემბრის №7860046 გადაწყვეტილებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები არასწორად დაფიქსირდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 სექტემბრის №7621311 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 სექტემბრის №7621311 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე №01.81.02.258.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში I კლასის სამშენებლო სამუშაოების (საყრდენი კედელი, ღობე და დეკორატიული ელემენტები) განხორციელებაზე შესაბამისი თანხმობის მიღებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება, ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე №01.81.02.258.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში I კლასის სამშენებლო სამუშაოების (საყრდენი კედელი, ღობე და დეკორატიული ელემენტები) განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.“.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 სექტემბრის №7621311 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 სექტემბრის №7621311 გადაწყვეტილებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.